

## ა ნ გ ა რ ი შ ი

(აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ 2016 წელს განხორციელებული საქმიანობის შესახებ)

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აფხაზეთის კანონის მე-16 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგინებ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტმა მითითებულ პერიოდში უზრუნველყო შემდეგი საქმიანობის განხორციელება:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების შესაბამისად, მომზადდა მოხსენებითი ბარათი სახალხო დამცველის ანგარიშთან დაკავშირებით გალის რაიონის მკვიდრთა განათლების, აგრეთვე გადაადგილების უფლების დაცვის მიზნით საერთაშორისო სამართლებრივი მექანიზმების ასამოქმედებელი ღონისძიებების თაობაზე.

გაფორმდა მემორანდუმი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტსა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, რომლის ფარგლებში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტმა მონაწილეობა მიიღო სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის 2016-2017 სასწავლო წლის სილაბუსის შედგენაში. დაიგეგმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტის სტუდენტების პრაქტიკის გავლა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების საჯარო მოსამსახურეთა კვალიფიკაციის დონის ამაღლებისა და სწავლების უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით, დეპარტამენტის ორგანიზებით ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიება **(დანართი 1)**.

მომზადებულ და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში ერთიანი პაკეტის სახით განსახილველად იქნა წარდგენილი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებთან შეთანხმებული ნორმატიული აქტების პროექტები **(დანართი 2)**.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სამართლებრივი ექსპერტიზა ჩატარდა და შესაბამისი **(44 დადებითი და 7 უარყოფითი)** პასუხი გაეცა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობიდან და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებიდან შემოსულ ნორმატიული აქტების პროექტებს. **(დანართი 3)**.

მითითებულ პერიოდში უზრუნველყოფილ იქნა სსიპ – საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 3 (სამი) დადგენილების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 37 (ოცდაჩვიდმეტი) დადგენილებისა და მინისტრის 6 (ექვსი) ბრძანების გამოქვეყნება. **(დანართი 4)**.

უზრუნველყოფილ იქნა 2016 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების რეესტრის წარმოება **(დანართი 5)**.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი, კოდიფიცირებული ნორმატიული აქტების ხელმისაწვდომობის მიზნით, არსებული საკანონმდებლო ბაზის საფუძველზე სისტემატურად ხორციელდებოდა დეპარტამენტის ვებგვერდის განახლება, რომელზეც ელექტრონული ფორმითაა განთავსებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი ნორმატიული აქტების კონსოლიდირებული ვერსიები.

აფხაზეთის ნორმატიული აქტების ხელმისაწვდომობისა და პრაქტიკაში ეფექტური გამოყენების მიზნით დეპარტამენტის მიერ უზრუნველყოფილ იქნა ბეჭდური სახით აფხაზეთის ნორმატიული აქტების კრებულის გამოცემა, რომელშიც განთავსდა „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აფხაზეთის კანონის კონსოლიდირებული ვერსია (2016 წლის 16 ივნისის მდგომარეობით), ამავე კანონის პირველადი სახე და მასში შეტანილი თოთხმეტივე ცვლილება, ასევე, „ნორმატიული აქტების შესახებ“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის კონსოლიდირებული ვერსია. **(დანართი 6)**

საგულისხმოა, რომ დეპარტამენტში საანგარიშო პერიოდში ხორციელდებოდა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენების (მათ შორის ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტების) შესახებ ინფორმაციის მოძიება და დამუშავება. ყოველკვირეულად მზადდებოდა ინფორმაცია აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენებისა და ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ, რომელთა საფუძველზე ყოველი თვის ბოლოს კეთდებოდა აფხაზეთის დე-ფაქტო ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენების ანალიზი, რომელიც გაეგზავნა საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დაწესებულებებს, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს. (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, საქართველოს მუდმივ წარმომადგენელს ჟენევაში, საქართველოს მთავარ პროკურატურას და სხვ.) სულ გადაეგზავნათ 42 (ორმოცდაორი) ინფორმაცია. (აღნიშნული ფუნქციის მთავრობის აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულისათვის სრულად გადაცემის შემდგომ იუსტიციის დეპარტამენტმა შეწყვიტა ამ მიმართულებით საქმიანობა).

მოძიებული ინფორმაციის, სოციალური ქსელისა და დეფაქტო აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლების ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულ მასალებზე დაყრდნობით უზრუნველყოფილ იქნა აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე მოვლენების შესახებ დეფაქტო აფხაზეთის პრესის მონიტორინგის ჩატარება. აღნიშნული ინფორმაციების ხელმისაწვდომობის მიზნით, დეპარტამენტის ვებგვერდზე დამატებულ იქნა ფანჯარა - სახელწოდებით „ანალიტიკა“, რომელზეც განთავსებულ იქნა და მომავალშიც განთავსდება დეფაქტო აფხაზეთთან დაკავშირებული „პუბლიკაციები“, „დეფაქტო აფხაზეთი მასმედიაში“ და „ანგარიშები“ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ბოლო დროს მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების თაობაზე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები - პირადობის ნეიტრალური მოწმობისა და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის გაცემის საკითხთან დაკავშირებით, სამოქმედო გეგმის ფარგლებში დეპარტამენტმა უზრუნველყო სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიული სამსახურიდან შემოსული მასალების შესწავლა და წარმოდგენილი დოკუმენტების, მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე აფხაზეთის ტერიტორიაზე ლეგიტიმურად მცხოვრები პირის ფოტოიდენტურობის დადასტურება (სულ შემოვიდა 44 (ორმოცდაოთხი) განცხადება, დადებითი პასუხი გაიცა 37 (ოცდაჩვიდმეტი), ხოლო უარყოფითი 6 (ექვსი) პირზე), გაიცა 1 ცნობა საცხოვრებელი ადგილის დადგენის თაობაზე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო საქმის განვითარების მიზნით, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის საქვეუწყებო დაწესებულება - აფხაზეთის ა/რ არქივის სამმართველოს მიერ უზრუნველყოფილ იქნა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების, სხვადასხვა უწყებებისა და დაწესებულებების არქივების ორგანიზაციების მეთოდოლოგიური დახმარების გაწევა და საარქივო საქმიანობის კოორდინაცია. მიღებულ იქნა დოკუმენტაცია საარქივო ფონდში (დანართი 7).

სამართლებრივი ხასიათის ქმედითი დახმარება და კონსულტაცია გაეწია ათეულობით მოქალაქეს (დანართი 8).

ხელთ არსებული საარქივო მასალებისა და დაინტერესებულ პირთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე განხორციელდა წიგნის „სამშობლოსათვის მარადისობაში“ (პირობითი სახელწოდება) მასალების თავმოყრა და პროექტის სახით სარედაქციოდ და გამოსაცემად გადაეგზავნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატს.

საანგარიშო პერიოდში დეპარტამენტში დოკუმენტბრუნვამ სულ შეადგინა 1930 (ათას ცხრაას ოცდაათი) ერთეული, მათ შორის:

- ა) შემოსული- 661 (ექვსას სამოცდაერთი);
- ბ) გავიდა - 934 (ცხრაას ოცდაათოთხმეტი);
- გ) შიდა მიმოწერა - 335 (სამას ოცდათხუთმეტი). დეპარტამენტში გამოიცა შემდეგი დოკუმენტები:

- ა) საკადრო ბრძანება - 124;
- ბ) ხელშეკრულება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ - 83;
- გ) შრომითი ხელშეკრულება - 18.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში აიტვირთა და გაიგზავნა:

- ა) 913 საგადახდო მოთხოვნა;
- ბ) 255 ვალდებულების დოკუმენტი;
- გ) 102 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ;
- დ) 63 სახელფასო პაკეტი და უწყისი.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს პორტალზე აიტვირთა 102 ხელშეკრულება და შესაბამისი შესყიდვის განხორციელების და ანგარიშსწორების დამადასტურებელი დოკუმენტები. საანგარიშო პერიოდში დარეგისტრირებული ხელშეკრულებებიდან 11 წლიურ ხელშეკრულებაზე მიმდინარეობს მონაცემთა ყოველთვიური მონიტორინგი. განხორციელდა 2016 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის მონიტორინგი CPV კოდების მიხედვით და შესაბამისი კორექტირებები. ვადების დაცვით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ელექტრონული პორტალის მეშვეობით კონსოლიდირებული ტენდერების მენეჯმენტის სისტემაში გაგზავნილია ინფორმაცია მოთხოვნების შესაბამისად (საწვავის ყოველთვიური ხარჯების შესახებ).

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის პორტალზე ვადების დაცვით გაიგზავნა ყოველთვიური მონაცემები საშემოსავლო გადასახადებისა და დასაკავებელი გადასახადებისა და განაცემების შესახებ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სააგენტოში გაიგზავნა ყოველთვიური ინფორმაცია შრომის შესახებ; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში წარდგენილია ინფორმაცია შესრულების, პრიორიტეტებისა და ღონისძიებების შესახებ.

26 დეკემბრის მონაცემით, დეპარტამენტის ბიუჯეტის წლიური ასიგნებების 405830 ლარის ხარჯი შეადგენს 389411,98 ლარს, ანუ, 98,17%-ს.

იუსტიციის დეპარტამენტის მიერ გამოცხადდა 2 კონკურსი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტის საქვეუწყებო დაწესებულება - აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არქივის სამმართველოს უფროსისა და უფროსის მოადგილის ვაკანტურ თანამდებობებზე.

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტში სტაჟირებისა და სასწავლო პრაქტიკის გავლის წესის“ შესაბამისად, დეპარტამენტმა ახალგაზრდა, პროფესიული კადრების მომზადების მიზნით, უზრუნველყო სტაჟიორ/პრაქტიკანტებისათვის პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად სათანადო პირობების შექმნა. სტაჟირება გაიარა 9 სტაჟიორმა, ამჟამად სტაჟირებას გადის 3, ხოლო პრაქტიკა გაიარა 3-მა და გადის - 2 პრაქტიკანტი. დეპარტამენტში შემოსულია საქართველოს მოქალაქეთა 4 (ოთხი) განცხადება სტაჟირების/პრაქტიკის გავლის თხოვნით.

დეპარტამენტის საჯარო მოხელეთა სამუშაო პირობების გაუმჯობესებისა და საქმიანობის ეფექტური განხორციელების მიზნით, ნაწილობრივ მოწესრიგდა დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული საოფისე ფართი.

დანართი: 40 ფურცლად.